F 2747 ✓ 13829

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
კავკასიის კავშირი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა.

„პროლეტარიატის ბრძოლის“ ფურცელი

№ 5--6. 15(28) 1 (13) იანვარი 1904 წ

სასახალწლოთ!

ახალწლის პირველი დღეებია. ქალაქი სამხიარულოთ ირთვება-იკაზმება: დღეები ბერ-ვარამი[illegible] თავ-მოგებზრებ[illegible] ოჯახის მამა [illegible] ოლ-შვილ-[illegible]ერება მოსვენებას, ოჯახთან ერთად მხიარულათ ეგებება დღესასწაულს. ბავშვები ცქრიალ-ხარხარით დახტიან, რბიან, დედა თვალებ-გაბრწყინვებული შესტრფის მათ ჟრიამულს და რთავს, კაზმავს თავის ღარიბ ქონებას, ალამაზ-ასპეტაკებს მცირეოდენ სამკაულს. ყველაფერს რაღაც განახლება-გაცოცხლება ეტყობა. შუა ღამეა. კარებზე უსიამოვნო ბრაგუნი მოისმის; ოთახში შემოდიან ბილწი თვითმპყრობელობის მსახურნი: ჟანდარმის აფიცერი, ბოქაული, „გოროდოვები“, „დვორნიკები“ და ჯაშუშები.... მათ განახლება არ ეტყობათ; ჩვეულებრივის უზრდელობით, მხეცურის უპატიურობით, საზიზღარი სახის გამომეტყველებით შხამვენ საერთო სიამოვნებას, ბილწვენ პატიოსან ოჯახს, მოურიდებლათ ბურჯგნიან კოპწიათ მორთულ ავეჯეულობას, აფათურებენ ბინძურ ხელებს ქალის საწოლში, ოჯახის წევრთა გულ-მკერდში, სჩხრეკენ საოჯახო კუნჭულს, იტაცებენ ნაცნობ-მეგობრების წერილებს, გაფაციცებით დაეძებენ გონების ყოველნაირ ნასახს, ნაწარმოებს, ბღალ-ვენ წმინდა ადამიანურ გრძნობას; ერთი სიტყვით, დაეძებენ მართალ სიტყვას, დაძრწიან გახრწნილი მართებლობის საწინააღმდეგო აზრების დასახშავათ, მოსასპობათ, ნასაჩეხათ, აღმოსაფხვრელათ. მაგრამ განა წმინდა აზრი დაიხშვება, მართალი სიტყვა ჩაიჩეხება, პატიოსანი გრძნობა გაისვრება ამ უზნეო მონების ბინძური ხელებით? განა დახავსებული მთავრობის მიმართ გაწვდილი ბასრი ნათელი სამართლიანობა აღმოიფხვრება ამ წყვდიადში უნამუსოთ მოწანწალეების ფარ-ხმლით? არა! ციხეები აავსეს, ხალხი გაჟლიტეს, ყოველგან სახრჩობელა დადგეს, ქვეყანა ნამუსით მოვაპრე ჯაშუშებით აავსეს, ხალხი ქონებიდან გასცალეს, პატიოსანი მებრძოლნი გასაყინებლათ ციმბირში გაირეკეს, ყოველ ოჯახს მოღალატე-გამცემელი დვორნიკები ჩაუყენეს, დედებს გულიდან საყვარელ შვილებს გლეჯენ, ოჯახის მამებს ოჯახს აშორებენ, ძმას ძმის გაცემას აძალებენ, მეგობარს მეგობრის სულის კვეთების მბობას მოსთხოვენ... გარყვნეს ქვეყანა, დააუძლურეს ქონებრივათ ხალხი, მხოლოდ წმინდა გრძნობა კიდევ უფრო იშლის ფრთას, მართალი სიტყვა კიდევ უფრო მედგრათ ისმის, პატიოსანი მებრძოლნი თვითმპყრობელობის დასამხობათ ერთი ასათ გამრავლებულნი კიდევ უფრო იმახვილებენ საბრძოლველ იარაღს, მთავრობის გმობა და ზიზღი დღითი-დღე იზრდება, ფართოვდება, მრავლდება და საოცარ ჩვენებათ დასდგომ[illegible]ის სულთ-მობრძავ მხეცს! აი ეს ჩვენება [illegible] მწარე-[illegible] მომ[illegible] ის უწყალოს [illegible]ნელ[illegible] [illegible]ებს და ესეც იშველიებს ყველა ბნელ ძალებს, [illegible]კრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს, თავს უყრის თავისს ერთგულ მონებს ყოველი კუთხიდან და კიდევ ერთხელ სცდილობს თავის დახწევას, კიდევ ერთხელ შხამავს თავისი ამძორებული, დამპალი სხეულის სუნით ჯანმრთელსა და საღ სიცოცხლეს...

გათენდა. ნათლისღებაა. ხალხი სადღესასწაულოთ გარეთ გამოფენილა და ჩვეულებრივის ხალისით მხიარულებას ეპირება. შეცდა ხალხი. მას მხიარულებას დღესაც არ აგემებენ; მას ერთად თავ-მოყრილს სამხიარულოთ თვითმპყრობელობა ვერ გუობს და ამიტომ კაზაკები მათრახებით, ხალდათები თოფებით, პოლიციელნი და დვორნიკები ხმლებით და ჯოხებით ჩაურევია ამ ხალხში. სცემენ ქალ-ბავშვებს, სცემენ გამვლელ-გამომვლელთ, სცემენ განურჩევლათ და სასტიკათ; მიათრევენ ციხეში, უგინებენ მშობლებს... მისთვის ყველა არა კეთილ-ხიმედია, ვისაც პოლიციელის ფორმა არ აცვია, ვისაც თვითმპყრობელობის ნიშანი არ აკრავს. ასე იბრძვის გამწარებული სიმხეცე. როდემდის?

საუკუნოები გადის, რაც უმწეო ხალხის სისხლი იღვრება; რამდენი ხანია მებრძოლი პროლეტარიატის ძვლებით იკირწყლება სოფელ-ქალაქთა მიდამოები, რა აუარებელი ჯან-საღი, ქვეყნის სიმდიდრის შემქნელი მშრომელნი სწყდებიან თავის კუთხეს, როგორის მოუსვენრობით, აღტაცებით, გმირობით შესჭიდებია მუშა ხალხი ზარბაზნებით შეიარაღებულ მეფის დამქაშებს! მათი უსამართლობა-კი ყველას გვჯიჯგნის, გვაკენესებს! გესმით, მოქალაქენო, თქვენი ქალ-ვაჟთა წუწუნი; ხედავთ მათ ცარცვა-დარბევას, გეყურებათ ნაცნობ-მოგობრების ნწუხარება, ატყობთ თქვენს არა-რაობას? ყველაფერი ამის მოსპობა-აღგვა-კი ასე ადვილია, ასე ახლოა! მოიკრიბეთ სავსე ძალ-ღონე, მოისუნთქეთ წმინდა ჰაერი, შეუერთდით მებრძოლ რაზმს და თვითმპყრობელობის აღსასრულის საათიც ჩამორეკს!.. ჩვენთვის მებრძოლი ძმები ციხეში ლპებიან, ჩვენთვის თავ-დადებული მეგობარნი ციმბირში იყინებიან, ჩვენთვის განწირული მოყვასნი სახრჩობელაზე ეკიდებიან, საერთო საქმისათვის ქუჩაში გამოფენილი მუშები ტყვიებით იხვრიტებიან! როდემდის? ამის გადაპრა ჩვენზე კიდია. მთავრობა გამწარდა იმიტომ, რომ ძალა ელევა, თვითმპყრობელობა შშაგობს იმიტომ, რომ ნიადაგი გამოეცალა, ბებერი მხეცი დაძრწის იმიტომ, რომ მუდამ ტკივილებს გრძნობს. მას ყოველგან და ყოველთვის „არა საიმედო“ ეჩვენება, ის ხმალ-მათრახ მო-

ღერებული [illegible] ხელმართლეს სდევს, ჭეშმარიტ აზრს ეძებს ჩაუყენებია, მაგრამ ეს აზრი ისევ თავისუფლად დასტიალობს კიდის-კიდემდე, სიმართლე კიდევ უფრო აღვივებს თვითმპყრობელობის გამანადგურებელ ცეცხლს და მთავრობის მონები ამაოთ ანთებენ სინათლის დამფარველ გარდვეულ კედლებს. [illegible] შემოაშუქა ჩვენს ბნელ მხარეში, [illegible] ანგელოზი გული მოგვცა [illegible] ეგვაყარა თვისი სხივები. მ ვუთხრა [illegible] ,, [illegible] ,, [illegible] ,,

რდიდან მედგრათ ამოდიოდა მრისხანე სიტყვები: „ძირს მთავრობა, ურა!“ ბათუმის კომიტეტმა ამის გამო 1,500 ცალი პროკლამაცია გავრცელა. პოლიცია ფეხზე დადგა. კიდევ მოელოდენ დემონსტრაციას, უფრო დიდს და საშინელს. 22 ნოემბერს დილის 4 საათიდგან „პერესილნაიას“ ჯარი შემოარტყეს,—კაზაკები და ქვეითი ჯარის-კაცები. გუბერნატორი დრაგინი და პოლიცმეისტერი მათ-შუა „დარბაისლათ“ დასეირნობდენ. საზოგადოებაც ძლიერ აღელვებული იყო. მთელი ქალაქი ფეხზე იდგა: არა-ჩვეულებრივ „ბუნტს“ მოელოდენ.

—

გურიიდან გვწერენ: ამ ცოტა ხანში ჯუმათის მონასტერში ვიღაცებმა „სასწაულთ-მომქმედი ხატი“ დაამსხვრიეს. არაფერი სამკაული და არც ფული არ წაუღიათ. ამიტომ ფიქრობენ, ალბათ, —რევოლიუციონერების მოქმედებაო; ესეც ჯაფარიძის პოლიტიკის ნაყოფი: აწი კიდევ აშინოს ხალხი „ძლიერი ხატის“ წინ ფიცით და მათი ერთგული შვილები ნაძალადევათ გააცემინოს!!.

სოფ. ახპატა (თბილისის გუბ.).

1900 წელს, როგორც წინა წლებში, ს. ახპატის, ბორჩალოს მაზრის, თბილ. გუბ. გლეხები შეეკვრენ პირობით იქაურ მემამულეს თავად ბარათაშვილს, რომლის ძალით გლეხებს თავადისათვის უნდა ეხადათ წლიურად 2,000 მანეთი. გლეხებისა და თავადის მამულები ერთმანერთში არეულია (черезполосицы), რაც მემამულისათვის არ არის მაინც-და-მაინც ხელ-საყრელი. ამიტომ მაისში 1903 წელს თ. ბარათაშვილმა წინადადება მისცა გლეხებს: მომეცით ეს თქვენი ადგილები და სამაგიეროთ იმნაირსავე ადგილს სხვაგან მოგცემთო. მწარე მაგალითების გამონაცადმა გლეხებმა იცოდენ, თუ ვისთვის ზრუნავს ეგრედ წოდებული რუსეთის კანონები და მოტყუების შიშით თავადის წინადადება გადაჭრით უარყვეს. თავადმა გადასწყვიტა ძალით იქნება თუ ნებით აესრულებია თავისი სურვილი და ამ მოსაზრებით დაუწყო გლეხებს შევიწროება და დევნა; აუკრძალა გლეხებს ხიდზე სიარული, იმ ხიდზე, რომელიც თვით გლეხების გაკეთებული იყო. როცა გლეხები არ დამორჩილდენ ამას და სიარული ხიდზე მაინც განაგრძეს, თავადმა თითო სულ საქონელზე და კაცზე 40 კაპ. გადასახადი შემოიღო. მაგრამ ამ ზომამაც ვერ გასჭრა. მაშინ ბარათაშვილმა გამოუცხადა გლეხებს, რომ საძოვარი ადგილების ფასს ვუმატებ და თუ გსურთ ისარგებლოთ გადაიხადეთ, თუ არა და ეხლავე გარეკეთ აქედანო. გლეხებმა არა თუ გადაიხადეს რამე და გარეკეს იქიდან საქონელი, წინააღმდეგ განუცხადეს თავადს, რომ არც ერთ კაპეიკს აღარ ვიხდით საძოვრის ფულსო. გაშფოთებულმა მემამულემ მოიწვია სტრაჟნიკები, მაგრამ გლეხები, გლეხის ქალები და ბავშვებიც შეიარაღდენ რითაც შეეძლოთ და გამხეცებული პოლიციელები დაირეკეს სოფლიდან. მთავრობა შეკრთა. ეს რა ამბავია? ყოველთვის მეფისა და სისხლის მწოველების უტყვი მორჩილი სოფელიც-კი აბოგოქრდა. ასეთი გაბედულება, როგორც თვითონ გლეხები ამბობდენ, მათ შეიძინეს იმის შემდეგ, რაც გაიგეს, რომ თბილისში და სხვა ქალაქებში, გურიაში და სხვა სოფლებში მათი მოძმეები სამკვდრო სასიცოცხლოთ შესჭიდებიან მემამულეებს და გახარწილ მთავრობას. გათავდა შეტ[illegible], რომ გლეხებმა საჩივარი შეიტან[illegible] თავადზე. მათ კიდევ ეგონათ, [illegible] ოვაჭრე მთავრობის მოსამართლ[illegible] სამართალს მოიპოვებენ და გლეხთა [illegible] საზოგადოთ მშრომელთა ინტერესებს დაიცვენ მართლმსაჯულები. მაგრამ ამ ამბების შემდეგ მათ ეს რწმენაც დაკარგეს და აღიჭურვენ ზიზღით მთავრობისადმი და საშველი ძალა ისევ შეერთებაში პოვეს. თავ. ბარათაშვილთან დადებული უკანასკნელი პირობა ამნაირი იყო: წლიური იჯარის ფული 3,000 მ., პური სამესამედოთ და თივაც სამესადოთ; ამას ზედ დაუმატა ვითომდა ნაზარალევი 2,000 მანეთი და ამნაირათ უანგარიშა 5,000 მანეთი; შეიტანა საჩივარი და გამოიტანა აღმასრულებელი ფურცელი. 11 ნოემბერს ადრე დილით თავადის სტრაჟნიკები შემოერტყენ სოფელს და მუქარით უთხრეს გლეხებს ფეხი არ დაეძრათ სოფლიდან და საქონელი არსად გაერეკათ. რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდენ სასამართლოს ბოქაული და მაზრის ბოქაული მაკროპულო 50 კაზაკით. შესვლისათანავე სოფელში, მოიხმეს მამასახლისი და უწყალოთ სცემეს იმიტომ რომ ბრძანება არ აესრულებია (ნაბრძანები იყო მთელი სოფლის საქონლის მორეკა). ხუთი კაზაკი მთებში გაგზავნეს საქონლის მოსარეკათ, მხოლოდ სასამართლოს ბოქაულმა დაიწყო აღწერა გლეხების ავლა-დიდების და დარჩენილი საქონლისა. გაათავა რა ეს საქმე, ბრძანა: წაასხით ბაზარში საქონელი გასაყიდათ. ქალები და ბავშვები გადაეღობნენ წინ, სტაცეს ხელი საქონელს რქებში და დაიწყეს საბრალოთ ყვირილი: „გვიშველეთ, გვცარცავენო!“ ბოქაულმა ანკარგულება მოახდინა და ქალ-ბავშთ ცემა დაუწყეს მათრახით, მხოლოდ როცა მამაკაცები ჩაერიენ მისაშველებლათ, გაისმა თოფების გრიალი და ხუთი მკვდარი და მრავალი დაჭრილი დაეცნენ მიწაზე. მოკლულთა შორის ერთი ორსული ქალიც იყო ტყვიით გახვრეტილი. მაზრის უფროსმა შანშიევმა დაუყონებლივ აცნობა თბილისში, რომ გლეხები წინააღმდეგობას გვიწევენო, მხოლოდ თბილისის მხეცმა პოლიციელებმა დაუყოვნებლივვე უპასუხეს: ეხლავე ეგზეკუცია ჩააყენეთ სოფელშიო და ორასი კაზაკიც მიაშველეს. თავადი ბარათაშვილი, როგორც სტუმართ მოყვარე მემამულე, დიდებულათ მიეგება კაზაკებს. გამოიწერა ფურგუნით სასმელები, სანოვაგე, დახოცა ძროხები და ცხვრები და სასიქადულო მასპინძლობა გაუწია მეფის მოახლეებს. დამაძღარნი და გალეშილი კაზაკები შეუდგენ ეგზეკუციას.—გაიყვენ 8 ნაწილათ და რამდენიმე მხრით დაესხენ სოფელს. აუწერელია ის სურათი, რომელსაც ამ მხეცების მოქმედება წარმოადგენდა. ამსხვრევდენ კარებს, ცარცავდენ ყველას, სცემდენ კაცებს, აუპატიურებდენ ქალებს... ქალების მორთულობას და ღარიბის გროშებს იტაცებდენ, ხოცდენ ცხვრებს და ძაღლებს უყრიდენ საჭმელათ. მერმე შემოერტყენ

ეარს სოფელს და აქ გაჩნდა საოცარი სანახაობა: თვითოეულ გლეხს კაზაკები ერთმანეთს გადასცემდენ საცემათ დ, რა გაიკლადა ყველას ხელში საოცდავი მსხვერპლი თავისუფლდებოდა. გლეხები გარბოდენ სოფლიდან მახლობელ სოფლებში და ეხლა სოფელში სულიერი ადამიანი არ მოიპოვება; იქ, სადაც ცხოვრება ღუღდა და გადმოდიოდა, ოღეს ყველ მიდუნებულა. მაზრის ბოქაული ამის შემდეგ იქადდა: „ახპატა მიწასთან გავასწორეთ, აქ ანის შემდეგ ბალახიც ვერ იხეირებო!..“

ასეთი დარბევა მოგვაგონებს ძველ დროს. როცა რომელიმე ატტილა ანუ მონგოლების ხანი თავს ესხმოდა მეზობელ ერებს. დაიპირეს 200 კაცი, 3 დღე მშიერი აყურყუტეს ციხეში; მათში ვამოარჩიეს 14 კაცი და გაამგზავრეს თბილისის ციხისაკენ. დატუსაღებულთა შორის ერთი ადგილობრივი ღვდელეცაა ერზიკიანი, რომელსაც ულმობელათ სცემეს ღა ჩასვედეს ბორკილებში. ეს 14 კაცი გადაეცემა სასამართლოს მთავრობასთან შეიარაღებული წინააღმდეგობისათვის!

ბ ა ქ ო.

წერილი გალახანიდან.

(შთაბეჭდილებანი)

მე მუდამ განცვიფრებული ვიყავი იმ გარემოებით, თუ როგორ ადვილად შეეჩვევა ადამიანი ცხოვრების აუტანელ პირობებსაც-კი. მაგრამ არასოდეს ეს ჩემი შემეცნება ისეთი ძლიერი, ისეთი ცხადი არ ყოფილა როგორც ბალახანაში. პირველად რომ მოვედი, ვერ წარმომედგინა, თუ აქ ცხოვრება შეიძლებოდა, ცხოვრება ერთი-ორი დღე კი არა, არამედ მთელი თვეები, მთელი წლები. იცხოვრო უსუფთაო ჰაერზე, ჩამობნელებულ ციხ-ქვეშ, იცხოვრო ნახევრად მშიერი, იმუშაო მთელი წელიწადი განუწყვეტლად დილიდან საღამომდის, მოიკლა წყურვილი აყროლებული წყლით. რა საშინელებაა!..

ეს რაღაც დაწყევლილი ადგილია... მთელი დღე დაღვრემილი დაეხეტებოდი სამრეწველო ადგილებში, რომ რაიმე თვალის გასართობი მენახა... ტალახიანი ქუჩები, ჭენჭყიანი ტბები, აყროლებული სარდაფები, რუები, პატარა ქოხები, დუქნები, საჩაიები, ფურნეები... ყველგან, საითკენაც უნდა გაიხედო, ვიწროობაა, სიბინძურეა, ტალახია, აშმორებულია, სავსეა მწერებით და აყროლებულილეშით... ყოველი სულდგმული, კატიდან დაწყებული ადამიანამდის გათუბნულია ტალახით, გაჟღენთილია ნავთით, მეკვარტლიო... ერთ სუფთა სახეს, ერთ სუფთა ტანსაცმელს ვერ შეხვდება კაცი! ღმერთო ჩემო, რა სარდაფებია, რა მუშების ბინებია! რა მონობის სურათებია!! ადამიანს ეგონება რაღაცა ბოროტსა და ბინძურ ძალას ჩაუყრია ამოდენა ხალხი, როგორც მატლები, აყროლებულ ორმოში და ყველას, ვინც-კი მოინდომებს ამ ორმოდან ამოჩოჩდეს, ეს ძალა ახრჩობს, ანადგურებს, ასახიჩრებს, მათრახებით ზურგზე ბოლს ადენს, ტყვიით ხვრეტს, შიმშილით კლავს, ამწყვდევს ციხეებში, ამგზავრებს შორეულ ციმბირისაკენ.

მე-კი ეს მხოლოდ მძიმე მაჯლაჯუნა მგონია!.. დიახ, მაჯლაჯუნა, რომელიც მალე აღიფხვრება დედა-მიწის ზურგიდამ.

მუშათა შემეცნება გაოფხიზლდა, მათ უკვე დაიწყეს ენერგიული ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა მონობის წინააღმდეგ. იგინი თან-და-თან უფრო მეტგრად თპოულობენ ცვლილებას, თპოულობენ, რომ მილიონების მცირე ნაწილი მაინც იხარჯებოდეს მათი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. ახლა-კი ეს აუარებელი სიმდიდრე იფლანგება ძვირფასსა და გაბრწყინებულ ფუნებაში, გარყვნილებაში ნობელებს, როტშილდების, მანთაშევების და სხვათა სასახლეებს აგებაში; აუარებელი სიმდიდრე უკარდებათ ხელში მოხერხებულ ბლუტებსა და მაწანწალებს, იფლანგება პოლიციის, მხედრობის და მართლობის შესანახად,—ხალხის უსაძაგლეს მტრებზე.

აკ-კი ათასობით იფლობიან ტალახში, იხრჩობიან ბოლში, იყლიტებიან გადამდები სენით... და ყველა ეს ვისთვის!?

მდიდრებისათვის, მათი გაუმაძღრობისათვის, მათი ბედნიერებისათვის, მათი სახელისათვის!

მეგობრებო, ჩქარა, ორმოდან! ბალე სუფთა ჰაერზე!

საზოგადოების მიმართ.

ბაქოს წითელ ჯვრის კომიტეტი თავის მოვალეობად რაცხს მიაწოდოს საზოგადოებას ოქტომბრისა და ნოემბრის ანგარიში. დატუსაღებულ პოლიტიკურ დამნაშავეთ ყოველგვარ საჭიროების დაკმაყოფილება მეტად გაძნელდა, მათი რიცხვი-კი თან-და-თან მატულობს: ეტაფით გაგზავნილთა მაგერ ციხის კედლებში ხელ ალები ამოყოფენ ხოლმე თავს, კამერებ მუდამ სავსეა, არასოდეს ცარიელი არ რჩება; დამუკედეულებთა 0,9-ს არავითარი საღსარი არ მოპოვება: მრავალია უფულოდ; არ მოპოვებათ საკმაო ტანთ-საცმელი, ასე გაშინჯეთ საცვალიც-კი, საზრდოობენ ცუდი და მძიმე საკმლით. სცივათ, შიათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ძნელი მნეთ იტანენ სატუსაღოს რეჟიმის ყოველნაირ სისაძაგლეს იმ იმედით, რომ მომავალი ვათია, სწამთ, რომ უნაყოფოთ არ ჩაუვლია მათ მოღვაწეობას. ვისაც ციმბირში აგზავნიან, იმათი ტანჯვა-წვალებას ხომ ენით ვერ ვაამოთქვამ ადამიანი, კალმით ვერ დასწერს. რამდენი უბედურება, რამდენი დავიდარაბა, რამდენი ვაბრკოლება უნდა გადალახოს ციმბირის გზაზედ ადამიანმა?! ნუ თუ პეტერბურგსან მოქალაქეს შეუძლია დამშვიდებით უყურეს ამ საუკეთესო ხალხის ტანჯვას? განა შესაძლებელია მაი გული არ შეტოკდეს, როდესაც ხედავს, რომ თავისუფლებისათვის თავ-განწირულ მებრძოლთ ასახიჩრებენ რუსეთის თავისუფალი ბაზრის ჯალათნი, როდესაც ადამიანის უფლება ასე ფეხ-ქვეშ ითელება ან ყველაზე დაუსჯელათ გამეფებულა გათახსირებული პოლიციის თვითნებობა? ნუ დავივიწყებთ ამას, მუდამ გვესმოდეს ეს... ყველა პოლიტიკური მებრძოლი ხომ საუკეთესო ხალხის ძალის წარმომადგენელია, ისინი განურჩევლად ეროვნებისა, შეხედულობისა და პარტიის, მედგრად ებრძვიან მართებლობის თვითნებობას და

მე-კი ეს მხოლოდ მძიმე მაჯლაჯუნა მგონია!.. დიახ, მაჯლაჯუნა, რომელიც მალე აღიფხვრება დედა-მიწის ზურგიდამ.

მუშათა შემეცნება გაოფხიზლდა, მათ უკვე დაიწყეს ენერგიული ბრძოლა თავისუფლებისათვის, ბრძოლა მონობის წინააღმდეგ. იგინი თან-და-თან უფრო მეტგრად თპოულობენ ცვლილებას, თპოულობენ, რომ მილიონების მცირე ნაწილი მაინც იხარჯებოდეს მათი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. ახლა-კი ეს აუარებელი სიმდიდრე იფლანგება ძვირფასსა და გაბრწყინებულ ფუნებაში, გარყვნილებაში ნობელებს, როტშილდების, მანთაშევების და სხვათა სასახლეებს აგებაში; აუარებელი სიმდიდრე უკარდებათ ხელში მოხერხებულ ბლუტებსა და მაწანწალებს, იფლანგება პოლიციის, მხედრობის და მართლობის შესანახად,—ხალხის უსაძაგლეს მტრებზე.

აკ-კი ათასობით იფლობიან ტალახში, იხრჩობიან ბოლში, იყლიტებიან გადამდები სენით... და ყველა ეს ვისთვის!?

მდიდრებისათვის, მათი გაუმაძღრობისათვის, მათი ბედნიერებისათვის, მათი სახელისათვის!

მეგობრებო, ჩქარა, ორმოდან! ბალე სუფთა ჰაერზე!

საზოგადოების მიმართ.

ბაქოს წითელ ჯვრის კომიტეტი თავის მოვალეობად რაცხს მიაწოდოს საზოგადოებას ოქტომბრისა და ნოემბრის ანგარიში. დატუსაღებულ პოლიტიკურ დამნაშავეთ ყოველგვარ საჭიროების დაკმაყოფილება მეტად გაძნელდა, მათი რიცხვი-კი თან-და-თან მატულობს: ეტაფით გაგზავნილთა მაგერ ციხის კედლებში ხელ ალები ამოყოფენ ხოლმე თავს, კამერებ მუდამ სავსეა, არასოდეს ცარიელი არ რჩება; დამუკედეულებთა 0,9-ს არავითარი საღსარი არ მოპოვება: მრავალია უფულოდ; არ მოპოვებათ საკმაო ტანთ-საცმელი, ასე გაშინჯეთ საცვალიც-კი, საზრდოობენ ცუდი და მძიმე საკმლით. სცივათ, შიათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ძნელი მნეთ იტანენ სატუსაღოს რეჟიმის ყოველნაირ სისაძაგლეს იმ იმედით, რომ მომავალი ვათია, სწამთ, რომ უნაყოფოთ არ ჩაუვლია მათ მოღვაწეობას. ვისაც ციმბირში აგზავნიან, იმათი ტანჯვა-წვალებას ხომ ენით ვერ ვაამოთქვამ ადამიანი, კალმით ვერ დასწერს. რამდენი უბედურება, რამდენი დავიდარაბა, რამდენი ვაბრკოლება უნდა გადალახოს ციმბირის გზაზედ ადამიანმა?! ნუ თუ პეტერბურგსან მოქალაქეს შეუძლია დამშვიდებით უყურეს ამ საუკეთესო ხალხის ტანჯვას? განა შესაძლებელია მაი გული არ შეტოკდეს, როდესაც ხედავს, რომ თავისუფლებისათვის თავ-განწირულ მებრძოლთ ასახიჩრებენ რუსეთის თავისუფალი ბაზრის ჯალათნი, როდესაც ადამიანის უფლება ასე ფეხ-ქვეშ ითელება ან ყველაზე დაუსჯელათ გამეფებულა გათახსირებული პოლიციის თვითნებობა? ნუ დავივიწყებთ ამას, მუდამ გვესმოდეს ეს... ყველა პოლიტიკური მებრძოლი ხომ საუკეთესო ხალხის ძალის წარმომადგენელია, ისინი განურჩევლად ეროვნებისა, შეხედულობისა და პარტიის, მედგრად ებრძვიან მართებლობის თვითნებობას და

მხოლოდ ჰათ კისერზეა მძიმე ტვირთი უთანასწორო ბრძოლისა.

აი, სწორედ ახლაა უფრო საჭირო მეტი დახმარება გაუწიოთ ციხეში მჯდომ ჩვენს მეგობრებს, ფულით, ტანთ-საცმელით და საცვალით. ვისაც-კი მოქალაქის უფლება და მოვალეობა შეუგნია, მოვალეა შეიტანოს ყოველ თვიური გადასახადი წითელი ჯვრის სასარგებლოთ.

ბაქოსა და მაზრების სატუსაღოებში სხედან 29 კაცი:

ა. სამარაევი, ნიკ. კორენევი, ივ. რომანოვი, მ. მირზაიანცი, კონ. აირუმოვი, თედ. ჟდანოვი, ფ. ეუკერტი, მ. მაკლანოვი, დ. საულიან, თ. ბაკლანოვი, ივ. ბეიდელიამ, არ. არაქელოვი, პოლომოვი, მ. კონსტანიანცი, დიმ. მუკასეევი, ალ. ჟელევიჩი (მუშები); იულ. გრიგლიაჩევსკი, ს. გურევიჩ (დოქტორი), ეგოროვი და არშაკ (ასოთ-ამწყობი), ელ. შვეიცერი (ინტ.), კ. გროშევი (ინ. გამოშ.), ანნა რატნერი (ინტელ.), ოლღა რუბცოვი, სოლ. ვირნოვსკი, გინზბურგ (ინტ.), მიხ. ბრაგა (შემახ. სატუსაღოში), ბიქ. ლევინ, პეტ. მოჟინ, (ლენქორანის სატუსაღ.). ბაქოდან გაგზავნეს ეტაფით: აბრამ ეიზენბერგი, სოფრო გინსბურგი (ინტელ., გაგზავნილნი არიან 3 წლით აღმოს. ციმბირში), ბაგ. ავაკიანცი, ბაგ. ბაგორიანცი, სერ. ასირიანცი (არხანგელის გუბერნიაში 3 წლით). გამოშვებულნი არიან ყველა ისინი, ვინც სომხის ეკკლესიასთან მოახდარ არეულობაში მონაწილეობა ჰიიღეს. ორი თვის განმავლობაში ოქტომბერს და ნოემბერს ბაქოს წითელმა ჯვარმა მიიღო 421 მ. 60 კ. დაიხარჯა 501 მ.,—დეფიციტა—79 მ. 40 კ.

თფილისის ქრონიკა.

10 დეკემბერს ტფილისის რკინის გზის სახელოსნოს მუშის ერვანდ არაქელოვის დასაფლავების დღეს, 10 საათზე დილით, შეგროვდა ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიის მახლობლად, სამასამდის მუშა ხალხი. მიზეზი მუშათა სიმცირისა ქუჩის უცოდინარობა იყო; ბევრმა ვერც კი იპოვეს, საიდან გამოასვენებდენ მიცვალებულს. სათის თერთმეტის ნახევარზედ გამოასვენეს ცხედარი კახეთის ქუჩაზედ და ავლაბრის მახლობლათ გრიგორიანთა ეკკლესიაში მიასვენეს. აქ წირვის ბოლომდის დიდძალა ხალხმა იმატა, დაახლობით—500—600-მდის; იქვე ეკკლესიასთან გაიმართა აგიტაცია. ხალხის უმეტესობა ქარხანა-ფაბრიკებიდან იყო. წირვის შემდეგ წაასვენეს ხოჯივანქის სასაფლაოზე. ამ დროს არც მთავრობას ძინებია. სასაფლაოს მახლობლად ჩაესაფრებია კაზაკები, მოშორებით იდგენ პოლიციელებიც. მიცვალებულის საფლავზედ რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა რომელშიაც ორატორები არკვევდენ მუშათა მოძრაობის მნიშვნელობას და სოციალისტურ მოძღვრებას. ამ სიტყვებმა მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე; დაკრძალვის შემდეგ მწყობრათ და ღინჯათ დაიშალა ხალხი და თან ხმა-მაღლა გაიძახოდა: „ძირს თვითმპყრობელობა, ძირს, მცარცველები, ექსპლოატატორები, გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას, გაუმარჯოს სოციალიზმს“. ადმინისტრაცია პირში ჩალა-გამოვლებული დარჩა, რადგან ჩარევა ვერ მოახერხა. ალბათ სხვა რასმე მოელო და.

მუშის წერილი.

5 ანვარს ერთხელ კიდევ დაინახეს მუშებმა რუსეთის თვითმპყრობელობის მხრუნველობა მათდამი. უდროოთ დაკარგულს ამხანაგს აცილებდენ საფლავზედ გულ-დამწვარი მეგობრები—მუშები. ოთხასი კაცი ბეჭედივით გარს შემორტყმოდა მის საფლავს: „ამხანაგებო“, დაიწყო ერთმა ორატორმა,—,,ეს საფლავი ღირსია თქვენი ყურადღების, ღირსია ხუთის წლის მებრძოლი, მუშათა ინტერესების დაუღალავი ქომაგი“... აქ სიტყვა გაწყდა, რადგან საზიზღარი თვითმპყრობელობის დამქაშმა ბოქაულმა, არა ერხელ მუშების სისხლით გასერილი ხელი, წაუპოტინა ორატორს დასაჭერად. მაგრამ ძმურმა პროტესტის ხმამ, ოთხასი კაცის განრისხებულმა მუქარამ, გააშეშა ბილწი მხეცი და თავისი სურვილი არ შეასრულებინა. ამხანაგებო,—სთქვა მეორემ,—,,თუ აქ არ გვაძლევენ სიტყვის თქმის ნებას, დავიშალოთ“. მუშებმა ნწყობრათ გამოსწიეს და საფლავზე დარჩენ მეფის რამდენიმე მსახურნი; ესენი დაღონებული დასცქეროდენ საფლავს, თითქო გრძნობდენ რომ მუშების მძლავრი ხელები ახლო მომავალში ასეთსავე საფლავს გაუთხრის მათ. მუშები სახლებისკენ გაეშურენ. გზაზე ხალხი შეჩერდა ორატორის მოსასმენად; ორატორი არკვევდა, თუ რათ ეშინია ბილწ მთავრობას თავისუფალი სიტყვის ისე, როგორც დამალულ ყაჩაღს დღის სინათლის. ამის შემდეგ მუშებმა მარსელიოზა იმღერეს. მართალია ეს სიმღერა არ იყო მწყობრი, ვერ ამოდიოდა მრავალ შრომა-წვალებით დატანჯული მკერდიდან ნაზი ხმები, მაგრამ სამაგიეროთ ამ ხმებში მოისმოდა რწმენა, რწმენა შეუდრეკელი, რომ ახლო მომავალში უნდა დაიმსხვრეს დამპალი თვითმპყრობელობა, უნდა მოვიპოვოთ პოლიტიკური თავისუფლება და დავამყაროთ დემოკრატიული კონსტიტუცია!

ძ. თ ე ლ ა ვ ი (თბ. გუბ.).

ამ ბოლო დროს რევოლიუციონურმა მოძრაობამ ჩვენშიაც იჩინა თავი. ხალხმა უკვე შეიგნო თვისი მდგომარეობა და ყოველ შემთხვევაში ცდილობს შეებრძოლოს თავის დამჩაგრელთ, გამოუცხადოს მათ უკმაყოფილება და ზიზღი... ამას წინათ—15 ოქტომბერს აქ გაიფიცნენ ,,ბონდარები“ (ბოჭკის მკეთებელი მუშები), რიცხვით 12 კაცი. რადგან ბოჭკების ფასმა აიწია და მათ-კი ისევ ჩვეულებრივი ფასი (3 მანეთი) ეძლეოდათ თითო ბოჭკის გაკეთებაში,—ისინი თხოულობდენ ხაზეინებისაგან ერთი მანეთის მომატებას. გაფიცვის პირველი დღე მშვიდობიანათ გათავდა. მეორე დღეს-კი პოლიციამ თავის მხეცურ ზომებს მიმართა: მუ-

შებს მოსთხოვა მუშაობის დაწყება, რაზედაც უკანასკნელებმა უარი განუცხადეს. მაშინ ბოქაულმა შეყვირა: „შებოჭეთ ეგენი და ციხის ეზანოში წაებძანეთო“. მხეც მოხელის ბრძანების ბრმა აღმასრულებელ დაბალ მოხელეებმა ჩაავლეს მუშებს ხელი და პოლიციაში წაიყვანეს. მაყურებელი ხალხი გაშმაგებული უყურებდა ამ მხეცურ ბრძანების აღსრულებას და ის იყო უნდა მივარდნოდა საცემრად გამხეცებულ ბოქაულს,—ამ დროს მის სახსნელად გამოჩნდენ „სტრაჟნიკები“. ცუღლუტი ბოქაული მაინც მიიმალა მახლობელ სახლში.. დაპატიმრებული მუშები ოთხი დღის შემდეგ გაანთავისუფლეს. ხაზინებმა-კი ურთ-ერთ შორის ხელშეკრულობა დასდვეს, ხელ-ფასი არაფრის გულისათვის არ აუწიოთო. მაგრამ, ჩქარა იძულებული გახდენ დაეთმოთ,—და წინანდელი 3 მანეთის მაგიერ ახლა მუშები 4 მანეთს იღებენ თითო ბოჭკის გაკეთებაში.

ამნაირათ, მუშებმა გაიმარჯვეს, რადგანაც შეერთებული ძალ-ღონით შეებრძოლენ თავიანთ სისხლის მწოველთ და არ შეეშინდათ არც პოლიციისა და არც ციხისა!..

ბ ა თ უ მ ი.

23 დეკემბერს ცნობილ გარყვნილ გაზეთ „Черноморскій Вѣстникъ“-ის რედაქტორს პალმსუნდა ეთამაშნა სცენაზე. მაგრამ იქვე მყოფმა მუშებმა თეატრში არეულობა მოახდინეს და პალმი სცენიდან განდევნეს კულისებში, საიდანაც მალე გააპარა სახლისაკენ გუბერნატორის თანაშემწე სლავოჩინსკიმ. ამ აშკარა პროტესტით, ბათუმის მუშებმა, კიდევ დაუმტკიცეს მეორეჯერ პალმს, რომ იმათ არ შეუძლიანთ მოითმინონ გაიძეერა და თვითმპყრობელობის ლაქიების საზოგადო საქმეში ხელის ფათური. ეჭვი მიიტანეს რამდენიმე კაცზე და კიდევაც დაატყვევეს შვიდი მათგანი, რომელთაც მიუსაჯეს 21 დღე ციხეში ჯდომა.

◆ გასულ წლის ნოემბერს მინის *) როტის ერთი სალდათი, არქიფო იაშვილი მთავრობამ შენიშნა, რომ ის სალდათებში არა-ლეგალური გამოცემებს ავრცელებდა. ჟანდარმებმა ის დაუყონებლივ დაატუსაღეს სამხედრო ციხეში. დაიწყეს კვლევა-ძიება, აქეთ-იქით გამოკითხვა და წანწალი. მაგრამ, დახეთ მთავრობის უბედურებას! მეხუთე დღეს მკვირცხლი რევოლიუციონერი სალდათი, რომელიც „სეკრეტნი“ კამერაში იყო ჩამწყვდეული, გაუსხლტა ხელიდან მთავრობას. მან გასჭრა ფანჯარაზე დახლართული რკინები და უშველა თავს, სრულიად შეუნიშნავათ, მიუხედავათ იმისა, რომ ოფიცერი და სალდათები იქვე უდარაჯებდენ დატუსაღებულს. ამავე ღამეს გაიქცენ ამ როტიდან ოთხი სალდათი: ორი რუსი და ორი ქართველი, რომლებსაც ჟანდარმები დაჭერას უპირობდენ, მთავრობა დარჩა პირში ჩალა-გამოვლებული. ბევრი იწრიალ-იწანწალა, დიდი სიმკაცრით მოეპყრა იმათ ამხანაგ სალდათებს, მარა მათი ნამდვილი გზა ჯერ ვერ მიაკვლიეს, და აწიც, იმედია, ვერ მიაკვლევენ.

*) ურაფ-ასაფეთქი.

გ უ რ ი ა. (ქუთ. გუბ.)

გასულ წლის 31 დეკემბერს დაასაფლავეს ს. ნიგოითში ცხენ ორმოცაძე, რომელიც უკანასკნელ დროს იყო დატუსაღებული გურიის მოძრაობის გამო. ფიზიკურად სუსტი ახალგაზდა კაცი რვა თვის ციხეში დატუსაღებამ სრულიად მოსწყვიტა წელში. როდესაც დაინახა მთავრობამ, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და დიდ საშიშარ მტერს აღარ წარმოადგენდა ის მისთვის, ეანთავისუფლა. თვენახევარს აღარ გაუვლია განთავისუფლების შემდეგ, რომ კიდეც მოსწყდა ამ სოფელს. დიდი ხანია რაც არსენი ეკუთვნოდა იმ რაზმს, რომელიც შრომობს და იღვწის ხალხის განთავისუფლებისათვის, რომელიც ებრძვის ყოველგვარ უსამართლობას და ძალ-მომრეობას. სკოლაში უსწავლელი კაცი თავისი ენერგიული მეცადინეობით გახდა მტკიცე და შეგნებული რევოლიუციონერი. მან თვალ-საჩინო სარგებლობა მოუტანა ხალხს და ეს ხალხი არც დავიწყებს მას. ბევრი მხურვალე და მგრძნობიარე ცრემლები დაიღვარა განსვენებულის საფლავზე, ბევრი მხურვალე სიტყვები წარმოსთქვეს მისმა ამხანაგებმა, რომლებმაც საკმაოდ დიდ-ძალ დამსწრე ხალხზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. საუკუნო იყოს ხსენება შენი ხალხის გულში, პატიოსანო და მებრძოლო ამხანაგო!

◆ ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში სოფ. ზომლეთში ერთმა წრეში მყოფი კაცის მამამ მთავრობის ძალ-დატანებით, ეასცა წრის წევრები და წარმომადგენელი. წარმომადგენლობას სწამებენ გიორგი მახარაძეს, რომელიც უკვე გაუსხლტა პოლიციას ხელიდან და წავიდა სადღაც. სამაგიეროდ მამა დაატუსაღა ადგილობრივმა ბოქაულმა.

◆ ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გაიძვერა ჯაშუშებზე გურიის კომიტეტის მიერ დაბეჭდილმა და გავრცელებულმა „ჯაშუშების სიამ“. ყველა გამოუთქმელ შიშმა შეიპყრო და არ იციან, თუ რა გზით და საშუალებით გაიმართლონ თავი ხალხის წინაშე. მარა იმათი ცდა ტყუილია ხალხი კარგად იცნობს თავის მოღალატე მტრებს და შესაფერი საწყაულით მიუწყავს ყველას სამაგიეროს, როცა დრო მოვა. რაც უნდა უდანაშაულო ცხვრებათ მოაჩვენონ თავი ქელბაქიანებმა და წერეთელ-ჯაფარიძეებმა, (პოლიციის გაიძვერა მსახურები და მათი დამქაშები) იმათ მაინც ვიცნობთ...

ქ უ თ ა ი ს ი

კვირას, 9 ნოემბერს, გასულ წელს, ს. დიდ-ჯიხაიშში არა-ჩვეულებრივ მოვლენას ვხედავთ. ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში მიაბარეს მიწას მიცვალებული მუშა. მკვდრის გამოსვენების დროს, რამოდენიმე სიტყვა წარმოითქვა, ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, მცხედარი რომ ეკლესიაზე

მოასვენეს. პროცესია თან-და-თან დიდდებოდა, სოფლიდან მოსულ მაყურებელ ხალხით ეკლესიის გალავანი გაჭედილი იყო. ცხედრის დასაფლავებას ჰღებელი არ დასწრებია. აქაც რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა, რომლებითაც სასტიკათ დაგმეს თანამედროვე რეჟიმი. მაყურებლებზედ ამ სიტყვებმა მეტად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. პროცესიას მოხუცებულებიც დაესწრენ, რომელნიც დაფიქრებულად, თანაგრძნობის კილოთი ერთმანეთს ეუბნებოდენ: „რას მოვესწარით ამასო“. დიახ, ამ მაგალითმა გამოაფხიზლა ბევრი. ეს ამბავი სოფლად ყველგან მოედო; ბევრიდგან უსეირო ძველი ჩვეულებათა გმობა გაისმის. მღვდლებისადმი სიძულვილი ხალხში თან-და-თან ძლიერდება. როგორც გადმოგვეცეს, გვარდიის ახალგაზდა აფიცერს—გრიშა ლორთქიფანიძეს სადაც ჯერ არს „დანოსიც“ კი გაუგზავნია ამ ამბავის შესახებ. ეს აფიცერი დიდიჯიხაიშელია (რუსეთში მსახურებს) ცნობილ ჯაშუშის ქაიხოსრო ლორთქიფანიძის შვილია, იმ ქაიხოსროსი, რომელმაც გუბერნატორს (ჯიხაიშში ყოფნის დროს) პატივისცემის ნიშნათ მუხლ-მოდრეკით ხელებზე ემთხვია.

—

ნიმუშები მთავრობის ძალ-მოქმედებისა.

1902 წ. მარტში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს თბილიაში ბ. ბიბინეიშვილი. გაჩხრეკის დროს უნახავთ და წაუღიათ თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორასთან არსებული შემნახველი კასის კნიჟკა № 14411, რომლითაც კასაში სხვა-და-სხვა დროს, 4 წლის განმავლობაში შეუტანია 735 მან. (პროცენტებით 800 მან. აღწევს ახლა თურმე). საზიზღარ ჟანდარმს ლავროვს ეს ფულები „მუშის კასათ“ მოლანდებია. პატრონის ჩვენება უყურადღებოთ დაუტოვებია და კნიჟკა წაუღია. 4 თვის შემდეგ ბიბინეიშვილი გამოუშვეს პოლიციის მხედველობის ქვეშ და კნიჟკა-კი არ დაუბრუნეს, თუმცა თხოვნებს თხოვნებზედ გზავნიდა. მას შემდეგ წელიწად-ნახევარზედ მეტმა განვლო და კნიჟკა-კი მოგზაურობდა სხვა-და-სხვა ინსტანციებში. ჟანდარმებმა, პროკურორმა, გოლიცინმა, მურავიოვმა, ფონ-პლეევმ, ყველამ ინახულა და ბოლოს ნიკოლოზ II-სთან მიჩოჩდა; მან ბრძანა: ეს ფულები, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო მიზნისთვის დანიშნული ხაზინას გადაეცესო („какъ предназначенныя противъ правительственныхъ цѣлей обратить въ доходъ казны“). აი სადამდი აღწევს რუსეთის გარყვნილი მთავრობის თვითნებობა! და ამის შემდეგ ვინაა თავდები ხვალ და ზეგ არ მოდებენ მაგგვარ შარს სხვებსაც და არ აწამებენ თუ რამ აქვთ დაზოგვილი მთავრობის კასებში? რა ენაღვლებათ ლავროვებს: გარდა იმისა, რომ ნახევარს თითონ მიისაკუთრებენ—ჩინები და ორდენებიც ცალკე.

—

ქუთაისი. ღელავს ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოწაფე ახალგაზდობა, ღელავს და იბრძვის თავისი შელახული პიროვნების დასაცავათ. სკოლის გამგეს, მთავრობის-მიერ დანიშნულ მოხელეს ლიუბინეცკის გადაუწყვეტია დაუხშოს ახალგაზდობას ყოველი მაღალი სულიერი მოთხოვნილება: მოუსპოს საზოგადოებრივი ცხოვრების შეგნების სურვილი და მით თავისი აუტანელი პირობების შეგნების სახსარი! ამ მიზნის მისაღწევათ აუტანელ შრომას ავალებს ახალგაზდა მოწაფეებს: პრაკტიკული მუშაობა სკოლაში იწყება დილის 6 ს.—9 საათამდე, როდესაც დაღლილ ყმაწვილებს კლასში სამეცადინოთ მიერეკებიან. 1 ნახევარ საათიდან—2 ნახევრამდე სადილი, საათ-ნახევარი შესვენება და შემდეგ დაღამებამდე ისევ პრაქტიკული მუშაობა! ასეთი პირობები კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა შეგირდებისათვის, როცა ჯაშუში და ზნეობრივათ გახრწნილი მასწავლებელი ჯაფარიძე დანიშნეს შრომის ხელმძღვანელათ. ლანძღვა-გინებამ, დაბეზღებამ, მუქარამ, აუტანელმა შრომამ და სხვა ათასგვარმა საზიზღარმა საშუალებამ, რომლითაც ეს ვაჟბატონი ასრულებდა თავისს ჩინოვნიკურ მოვალეობას, გამოიყვანა მოთმინებიდან მოწაფეები: ისინი ახალგაზდური გატაცებით შეებრძოლენ მტერს: გაიფიცნენ და შესწყვიტეს მუშაობა. თხოულობდენ მუშაობის შემცირებას, მეტ თავისუფლებას, მასწავლებელ ჯაფარიძის დათხოვნას. სკოლის გამგემ პირველ დღეებში ზიზღით და მედიდურათ მოისჰინა ახალგაზდების სამართლიანი სიტყვები; მოიწვია პოლიცია და მოწაფეები თავ-თავის სოფლებში დააგზავნია. მოწაფეები ისევ დაბრუნდენ და მიუხედავად მშობლების რჩევისა (ზშირად ცემისაც) და ადმინისტრაციის მუქარისა, თავის მოთხოვნილებაზე მტკიცეთ იდგნენ.

✦ აქაურ პოლიცმეისტერს ლისოვსკის ჩინ-ორდენების ნაცვლად ამ ხანად ორი კვირის „ნაობახტი“ ირგო! ამ გარყვნილმა მოხელემ სცემა გაჩხრეკის დროს „პოლიტიკური დამნაშავე“ მესხი შებორკა ბაწრით და ისე გაიდენა სატუსაღოში; ამის გარდა შეურაცხყოფა მიაყენა სიტყვით ციხის უფროსს. ამ სიმხეცისათვის სამსაჯულომ მხოლოდ ორი კვირა დაპატიმრება მიუსაჯა დამნაშავეს! დახე, როგორ სასტიკათ ეპყრობა კანონი მთავრობის გარყვნილ დამქაშებს! ეს ის ლისოვსკია, რომელმაც ქუთაისის ციხეში აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა ტუსაღები. ამას წინეთ სეირნობის დროს მავარდა გამგელებული პოლიტიკურ დამნაშავეს—მეგრელიშვილს და უშვერის ენით აგინა, რატომ თავს არ მიკრავო. მეგრელიშვილმა დაუყოვნებლივ მიმართა პროკურორს, რომელიც ამ ჟამად იქ იმყოფებოდა და ოქმი შეადგენია. მაგრამ სამართლიანი განა მოსალოდნელია უსამართლო სახელმწიფოში?!—ახლა ლისოვსკი მძვინვარებს და აღშფოთებულია; დაეძებს დამნაშავეს ყოველგან და ყოველთვის; ყოველ ფეხის გადადგმაზე მას პოლიტიკური დამნაშავე ელანდება. მისი მძვინვარების მსხვერპლი გახდა ამას წინათ საშიში პოლიტიკური დამნაშავე, რომელიც შუადღეზე ქუთაისის ბულვარში ხელს იგდეს და დაატუსაღეს. ეს ტუსაღი საჯდომი სკამი გახლავს, რომელზედაც ვიღაც „ბოროტ-გამბრახველთ“ პროკლამაცია ისე მტკიცეთ აეკრათ, რომ ვერაფრით ვერ ააძვრეს!..

✦ აღელდა ქუთაისის საზოგადოება თეატრში 7 ნოემბერს, როდესაც წარმოდგენის დროს პროკლამაციები გადმოეყარა—მშვიდობიან თავზე; ჯაშუშმა, სინიდისით მოვაკრე თავდმა მიშა წერე-

თელმა მიიღო თავის თავზე პოლიციელის როლი და რისხვით და მუქარით მოუწოდა პოლიციელებს დაუყოვნებლივ შემორტყმოდენ თეატრს, დაემწყვდიათ ყველანი და გაეჩხრიკათ. გულად მეომარ წინაპრების შთამომავალი თავადი დატრიალდა საოქრათ: ჩადგა „გოროდოვებში“ და... და ჯილდოთ მიიღო ზიზღი, ლანძღვა, ჯაშუშობის სახელი საზოგადოებისაგან, და ჩინ-ორდენები მთავრობისაგან,—მაგრამ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ „პროექტშია“!

გოურის მაზრიდან. (თბილ. გუბ.)

18 ნოემბერს ს. ბერუშეთში ბოქაულმა სტრაჟნიკებით დაუარა გლეხებს და მოსთხოვა ადგილობრივი ექიმის მისაცემი ფული. სოფლის ყრილობამ ერთხმათ გადასწყვიტა უარი ეთქვა ბოქაულს ამაზე. ამ უარის მიზეზი ის იყო, რომ ადგილობრივი ექიმი თავად-აზნაურობის მუდმივი სტუმარია და გლეხის ქოხში ერთხელაც არ შეუვლია, თავის ნებით და თუ ვინმემ საგანგებოთ მიიპატიჟა, სამ მანეთზე ნაკლებს არ ჯერდება. ამას თან დაურთეთ, რომ ამ ექიმისათვის გლეხებს გაწერილი აქვთ წლიური გადასახადი და თქვენთვის ცხადი იქნება, თუ რათ გამოიწვია ბოქაულის ბრძანებამ ასეთი სასტიკი წინააღმდეგობა, აშფოთებული პროტესტი. გლეხებმა სამართლიანათ მოისაზრეს, რომ უმჯობესია ექიმი ქალაქიდან მოიყვანონ საჭიროების დროს ანუ თვითონ იარონ ქალაქის საავადმყოფოში. ასეთი წინააღმდეგობა გლეხების, რა თქმა უნდა, არ ეჭაშნიკა ბოქაულს და გადასწყვიტა ძალის ხმარება. დაგზავნა სტრაჟნიკები გლეხების ქოხებში იმ იმედით, რომ საზიზღარი და უზნეო ქცევით იძულებულ ყოფენ გლეხებს ბრძანების აღსრულებას. მაგრამ ამ ხერხმაც არ გასჭრა. მხოლოდ ერთმა გლეხმა ვეღარ აიტანა და გადაიხადა ხვედრი ფული. დანარჩენმა გლეხებმა შეიტყვეს რა ეს, დაუყოვნებლივ მოთხოვეს ბოქაულს წაღებული ფულის დაბრუნება. ბოქაული, რასაკვირველია, არ დათანხმდა, გლეხებმა-კი, მოთმინებიდან გამოსულებმა, ფულის მიცემის მაგიერ გვარიანათ დაუზილეს გვერდები ბოქაულს და სტრაჟნიკებს და გამოაძევნეს სოფლიდან. ახალი თავდასხმის მოლოდინში, გლეხებმა მოახდინეს ყრილობა, რომელზედაც მახლობელ სოფლებიდანაც დაესწრნენ გლეხები. დასდვეს პირობა ერთობისა და გადასწყვიტეს ზარის რეკის ხმაზედ ყველანი ერთად შეკრებილიყვენ საბრძოლველათ. საღამოს რეკა საათზე მობრძანდა ბოქაული და მიიყვანა ორმოც-და-ათამდე კაზაკები. სოფელს ეძინა, მხოლოდ რამდენიმე გლეხი მშვიდობიანათ ისხდენ ქისკართან. აი ამათ დაესხენ გამხეცებული კაზაკები და დაუწყეს უწყალოთ ცემა. ერთმა მაინც მიასწრო ეკლესიასთან და ჩამორეკა ზარი. მოცვივნდენ გლეხები და გაიმართა ბრძოლა, რომელიც ღამის 3 საათამდე გაგრძელდა, როცა მიბეჟვილმა ბოქაულმა და კაზაკებმა იბრუნეს პირი და გაქუსლეს, ყრილობამ ისევ წინანდელი დადგენილება გაიმეორა: არ გადავიხადოთ არაფრისათვის და თუ კიდევ ძალას იხმარენ, ჩვენც წინააღმდეგობა გავუწიოთო. მეორე დღეს სმა როტას კაზაკებისას მოუძღოდა მაზრის უფროსი და შევიდა სოფელში; ალბათ გუშინდელი ამბით შემფრთხალმა, მაზრის უფროსმა ჯერ აზნაურებს მიჰმართა; ჩაერიეთ და მშვიდობიანათ მოაგვარეთ საქმეო. ამათ გლეხებში უნდა განეახლებიათ რწმენა და პატივისცემა მთავრობის: მხოლოდ აღმოჩნდა, რომ ჩვენს თვითმპყრობელობას მეტათ ცუდი და არა საიმედო მეგობრები ყოლია, რადგან ხალხის მძვინვარებით დაშინებულნი სახლებში მიიმალენ. აზნაურებმა უარი უთხრეს მაზრის უფროს: ჩვენ საქმეში ვერ ჩავერევითო და ისიც იძულებული იყო კაზაკების ამარა შესხმოდა სოფელს სამშობლოს გადასარჩენათ. მხოლოდ ამ საშუალებით შეესძლო მთავრობამ ფულის აღება. ეს ფაქტი საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ გლეხები ვეღარ იტანენ მემამულეებისა და მეფის მხეცურ „მზრუნველობას“. ეს შემთხვევა კიდევ უფრო შეაერთებს, გაამხნევებს და კიდევ უფრო დაარწმუნებს გლეხებს, რომ მათ საიმედო ძალა აქვთ სისხლის მსმელი მემამულეებისა და გახარწნილი მთავრობის კლანჭებიდან თავის დასახწევათ. მაშ ვიქონიოთ ჩვენც იმედი!..

ბანჯა.

ამას წინეთ განჯაში ღამით მოკლეს „გოროდოვოი“ სერგეი აკოფოვი. ეს საზიზღარი ადამიანი თავის ოთახში თავისუფალ დროს ადგენდა „არა კეთილსაიმედოთა“ სიას და შემდეგ დაუარდა ყველა იქ აღნიშნულ პირთ შემდეგი წინადადებით: ან ციხე და ან ფული, აირჩიეო. ვისაც შეეძლო ფულის გადახდა (ეს ვაჟბატონი საქონელსაც ღებულობდა.) ხომ გადარჩენილი იყო, ვისაც არა, „ბუნტოვშჩიკათ“ აცხადებდენ. მოსავლიანი დღეები დაუდგა ამ ბოროტს სომხების მოძრაობის დროს; რამდენი ეხლაც იტანჯებიან აკოფოვის წყალობით ციხეში უმართლოთ დასჯილები! მოკლულის ჯიბეში იპოვეს 400 მ. ბინაზე აუარებელი შაქარი, ჩაი, ბეჭდები, ბრასლეტები და სხ. მკვლელი ვერ უპოვნიათ. საინტერესო იყო დამარხვის დღე: კუბო, მაღლა თავის ზევით აწეული მოქონდათ „გოროდოვოებს“, მათ წინ ბოქაულები მიუძღოდათ, უკან ხმალ-ამოღებული სტრაჟნიკები. ჩინებული სანახავი იყო ყველა მისიანები! ბალდახინს (ხედავ როგორი დიდებით?!) ამშვენებდა სამი გვირგვინი: ერთი პროკურორ ს ამანაგის ბ. ლევეიჩისა, ზედწარწერით: „მეფისა და სამშობლოს ერთგულ მოსამსახურეს“; მეორე პოლიცეისტრისა—„პატიოსან მუშაკს“; მესამე „გოროდოვოებისა და სტრაჟნიკებისა“—„დაუვიწყარ სერგოს. დაე შენი საქმენი ჩვენ სამაგალითოთ დაგვრჩენოდეს“. ამბობენ საფლავში ჩაშვების დროს ცხედარს თვით პოლიციმეისტერი ემთხვია; ამან ყველაზედ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს და დაუწყეს ლოცვა „პატიოსან მუშაკს“, უკანასკნელი ვალის აღსასრულებლათ. აქაურ ციხეში ტუსაღთა შორის დიდი აღტაცება გამოიწვია ამ მკვლელობამ.

მოსწავლეთა ცხოვრებიდან.

ჩვენი ცხოვრების ყველა სფერები თვითმპყრობელობის შხამით არის მოწამლული. მოწამლულია მით სასწავლებლის ცხოვრებაც. განვითარების მაგიერ მათში ზნეობრივათ და ფიზიკურათ ძახინჯდებიან საზოგადოების მომავალი წევრები. მათ სულს უხუთავენ, გონებას უხშობენ, ყოველ ნაბიჯზე უთვალ-თვალებენ მეფის ჩინოვნიკები, ეგრეთ წოდებული **ალეზრდელები** ეს „სულის“ და გრძნობის ჯალათები. ახალგაზდობის ნორჩი ბუნება ვერ ძლებს ამ საზიზღარ ატმოსფერაში და, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ წინააღმდეგობას უწევს თავის მტარვალებს. მოსწავლეთა ტანჯვა-წამებას ზნეობრივათ და ფიზიკურათ ყველაზე მეტი ადგილი აქვს სასულიერო სასწავლებლებში. დღევანდელ სწავლა-აღზრდის ყოველ-გვარ უკეთესობას აქ მოუყრია თავი: საშუალო საუკუნოების სხოლისტიკა და იეზუიტური ზნეობა აქ ჯერ კიდევ დღესასწაულობს და გამეფებულია. მარა როდემდის? ამიტომ პროტესტიც უმთავრესათ ამ სასწავლებლებიდან გამოდის. დეკემბრის შუა რიცხვებში თბილისის სასულიერო სემინარიიდან გაიძვერა მეთვალ-ყურისთვის სტეფნის გამო 5 მოსწავლე გამორიცხეს, თუმცა სტეფნა საერთო იყო. დანარჩენებმა პროტესტი განაცხადეს ასეთ უსამართლოებაზე და მოითხოვეს დათხოვნილ ამხანაგების დაბრუნება. ბერები დაფაცურდენ, განსაკუთრებით, როცა მოწაფეებმა ფანჯრების ლეწვას მიყვეს ხელი, და მოიწვიეს ეპისკოპოსი. ეპისკოპოსი მოვიდა, თქვა „რეჩი“ და წავიდა. მთავრობამ მოწაფეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მაგიერ ამჯობინა „ვაწმენდა“ სასწავლებლის ბრა-სასურველ ელემენტებისაგან. რექტორმა „ბუნტი“ ქართველ მოწაფეების მოქმედებათ აღიარა და ერთი რუსი არ დაითხოვა, თუმცა ამ უკანასკნელმა თვითონ განაცხადა, რომ სხვებთან ერთათ მონაწილეობას იღებდა არეულობაში. ორი სამი დღის განმავლობა გამორიცხეს 12-დე კაცი და დაშვიდდენ. დარწმუნებული არიან რომ „ბუნტი“ ძირიანათ აღმოფხვრეს. ასევე ეგონა შარშან-წინ ქუთაისის სემინარიის რექტორსაც. მარა მოსტყუვდა. საქმე აი რაშია: ქუთაისის სემინარიაში გასულს წელს ვრცელდებოდა გექტოგრაფიაზე დაბეჭდილი ფურცლები, რომლებიც ახასიათებდენ სემინარიის წყობილების სრულ გახრწნილებას და იწვევდენ ყველა მოსწავლეებს მის საწინააღმდეგოთ. ნოემბრის პირველ რიცხვებში არეულობა მოხდა ორი მასწავლებლის—ლებედევის და ფხალაძისა გამო (ფურცლებში თხოულობდენ მეტსაც: მთელი სასწავლებლის წყობილების გარდაქმნას). ბერებმა „რეჩების“ შემდეგ, (რომლებმაც უქმათ ჩაუარათ) 40 კაცი დაითხოვეს და ამით, მათის აზრით, ერთბაშათ გაასპეტაკეს სასწავლებლის ატმოსფერა „ღვთის პირიდან გადავარდნილ ბუნტარებისაგან“. ამის შემდეგ ფურცლების გავრცელება მოისპო. რექტორი დარწმუნებული იყო, რომ „ბუნტი“ აღმოიფხვრა; მაგრამ გასულ წელს, სწორეთ ამ არეულობის წლის თავზე სემინარიაში (თეატრში და მთელ ქალაქშიც) გავრცელებულ იქნა დასტამბული პროკლამაცია, ხელმოწერილი ქუთაისის სემინარ. სოციალდემოკრატიული ჯგუფისაგან. პროკლამაციაში ამხანაგები, იგონებდენ რა **წარსულს**, თანაგრძნობას უცხადებდენ დათხოვნილ ამხანაგებს და აღიარებდენ, რომ ერთათ-ერთი გზა სასწავლებლის მოშხამულ ატმოსფერის გასაწმენდათ არის მთელი თანამედროვე წესწყობილების დანგრევა; ხოლო ამისთვის საჭიროა შეერთება მუშათა კლასთან, რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიასთან, რომელიც დღეს ერთად ერთი მძლავრი და ჭეშმარიტი რევოლიუციონური პარტიაა და სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვის რუსეთის სულთა-მხუთავ თვითმპყრობელობას.

ეტყობა კიდეც ბერებს ძირიანათ აღმოუფხვრიათ „ბუნტარობა“ თავის მოსწავლეებში!!

ქ. თბილისში იანვრის 6 ღამით და 13—14-ს ჟანდარმების ბრბომ შეიპყრო და დააპატიმრა შემდეგი ინტელლიგენტები და მუშები: 1) დ. ს. პო